ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4263869

ნომერი: AR1643246

თარიღი : 09.11.2018

გაცემის თარიღი : 14.11.2018

გაცნობის თარიღი : 07.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 , (ნაკვეთი N8/53);

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა შატბერაშვილი პ/ნ 01009020543
- ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 2-ე კვ.კორპ.21, ბინ41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაურკვეველია თუ რისი გაკეთება გსურთ. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" დაწვრილებით აისახოს საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების თაობაზე.
- წარმოსადგენია სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტაუციის ამსახველი ფოტოსურათები და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით (ამჟამად არსებული სიტუაციის ფოტოსურათების და ფოტომონტაჟის ველებში ატვირთულია ერთიდაიგივე ფოტოსურათები).
- მოხდეს საკადასტრო გეგმის განახლება, საკადასტროზე შენობის დატანა და ზუსტად მოინიშნოს საპროექტო სარეკლამო აბრის განთავსების ადგილი.
- წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ან მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ასევე საჭიროა განიმარტოს ეხებით თუ არა დაგეგმილი სამუშაოებით სარგებლობით გაცემულ ფართებს თუ ეხებით საჭიროა წარმოადგინოთ თანხმობები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური სრულყოფილად განიხილავს საკითხს და გაცნობებთ, მასში არსებული (არსებობის შემთვევაში) ხარვეზებისა და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.